

საბანკო რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდი

ონიანი ლელა – ასოცირებული პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

ღოღობერიძე თამარი – დოქტორანტი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

Modern Method of Banking Risk Assessment

Oniani Lela – Associate Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Ghogoberidze Tamari – PhD Student, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Community development is measured by the development of industrial forces. The developments of industrial forces have progressed in the conditions full of dangers. The danger of human mind has always been associated with adverse development of the process. That's why avoiding threats, the determination of expected losses became the subject of reasoning in the earliest period. The term risk was used to evaluate the threat, which was defined differently in different countries, but the essence was the same. The risk is used in two meanings: one, when it is expected threat, but it does not take an action and in case of realization there is definite place of getting the loss, the second, the defined action by the aim of getting expected success, which contain the threat of unwanted results.

The risk created in the first case is less defined and managed, as it is determined by the external factors independent by subjects. In the second case, the decision taken in connection of implementation of certain operations is intended to get the desired result, but in subconscious of decision-maker it appears the factor of expected threat and in comparison with the first case there is attempts to reduce expected loss or achieve the desired result by using the control mechanisms.

Research methodology: In the article, it is discussed directly banking risk managements models. Unlike other types of enterprises, banking activities are under both cases of risks listed above. This is due to the fact that the bank is an intermediary between the lender (physical and legal) individuals and borrower (physical and legal) individuals.

There are as unmanageable or systemic as well as the risks caused by internal factors of the bank. In order to customize with the existing managements mechanisms to manage bank risks, or to create a new model, it is important to classify risks according to the caused factors. Systemic risks: inflation, price fluctuations, interest rates, currency rates and other political decisions. Internal: operation, credit, liquidity and more. The Basel Committee was one of the firs, which has worked out a model of regulation of European banking system, but over the time, transformation of banking risks demand to work out new approaches. In the article it is conducted research about the possibility of using one of the new models "stress-testing".

Results and implications: On the base of study the banking sector of Georgia, it is revealed the ability of using stress test method. To identify risks is the goal of the model stress-testing, also to improve management model with the risk management tools.

Conclusion: Thus, because of difficulty of research information, it is used one factor stress-testing, namely GDP impact on results of banking activities. As a result of studies, according to the model of stress-testing, the result gives a real picture if the artificial interference is excluded and in GDP structure the share of real production is high.

Keywords: risk, stress-testing, GDP, bank, risk management, systemic risks, internal risks.

აბსტარაქტი

მესავალი და მიზანი: საზოგადოების განვითარება საწარმოო ძალთა განვითარებით იზომება. საწარმოო ძალთა განვითარება კი რთულ, საფრთხეებით სავსე პირობებში მიდინარეობდა. საფრთხე ადამიანის გონებაში ყოველთვის იყო დაკავშირებული პროცესის არახელსაყრელ განვითარებასთან. ამიტომაც საფრთხეებისაგან თავის არიდება, მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრა ადრეულ პერიოდში გახდა მოაზროვნე ადამიანთა მსჯელობის საგანი. საფრთხის შეფასებისათვის გამოიყენებოდა სიტყვა-რისკი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად განიმარტებოდა, მაგრამ არსი ერთი და იგივე იყო. რისკი გამოიყენება ორი მნიშვნელობით: ერთი, როდესაც მოსალოდნელია საფრთხე, მაგრამ მას არ განაპირობებს ქმედება და რეალიზაციის შემთხვევაში აუცილებლად ადგილი აქვს ზარალის მიღებას, მეორე, მოსალოდნელი წარმატების მიღების მიზნით განსაზღვრული ქმედება, რომელიც შეიცავს არასასურველი შედეგის მიღების საფრთხეს. პირველ შემთხვევაში წარმოქმნილი რისკი ნაკლებად განსაზღვრებადი და მართვადია, რადგან მისი დადგენა გარე, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ფაქტორებით ხდება. მეორე შემთხვევაში, კი მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულ ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებით, გამიზნულია სასურველი შედეგის მისაღებად, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღების ქვეცნობიერში ჩნდება მოსალოდნელი საფრთხის შიში და პირველ შემთხვევასთან შედარებით მართვის მექანიზმების გამოყენებით არის მოსალოდნელი ზარალის შემცირების, ან სასურველი შედეგის მიღწევის მცდელობა.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში უშუალოდ საბანკო რისკების მართვის მეთოდები განიხილება. საბანკო საქმიანობა სხვა ტიპის საწარმოებისაგან განსხვავებით ზემოთ ჩამოთვლილი ორივე შემთხვევის რისკების ზემოქმედების ქვეშ არის. ეს განპირობებულია იმით, რომ ბანკი არის შუამავალი რგოლი გამსესხებელ (ფიზიკურ და იურიდიულ) პირებს და მსესხებელ (ფიზიკურ და იურიდიულ) პირებს შორის. აქ თავს იყრის, როგორც უმართავი ანუ სისტემური, ასევე ბანკის შიდა ფაქტორებით გამოწვეული რისკები. იმისათვის, რომ არსებული მართვის მექანიზმები მორგებული იქნას საბანკო რისკების მართვაზე, ან შეიქმნას ახალი მოდელი მნიშვნელოვანია რისკების კლასიფიცირება გამოწვევი ფაქტორების მიხედვით. სისტემური რისკები: ინფლაცია, ფასების ცვალებადობა, საპროცენტო განაკვეთები, სავალუტო კურსი და სხვა სახის პოლიტიკური გადაწყვეტილებები. შიდა: საოპერაციო, საკრედიტო, ლიკვიდურობის და სხვა. ბაზელის კომიტეტი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ევროპის საბანკო სისტემის რეგულირების მოდელი შეიმუშავა, მაგრამ დროთა განმავლობაში საბანკო რისკების ტრანზფორმაციამ მოითხოვა ახალი მიდგომების შემუშავება, სტატიაში ერთერთი ახალი მოდელის „სტრეს-ტესტირების“ გამოყენების შესაძლებლობაზე არის ჩატარებული კვლევა.

შედეგები და გამოყენება: საქართველოს საბანკო სექტორის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა სტრეს ტესტირების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა, სტრეს-ტესტირების მიზანია - გამოავლინოს რისკები, რისკების მართვის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებასთან ერთად მიღწეული იქნება ბანკის კაპიტალის მართვის მოდელის სრულყოფა.

დასკვნა: ამრიგად, ინფორმაციის მოკვლევის სირთულის გამო ჯერჯერობით გამოყენებულია ერთ ფაქტორიანი სტრეს ტესტირება, კერძოდ მშპ-ს გავლენა საბანკო საქმიანობის შედეგზე. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სტრეს ტესტირების მოდელის მიხედვით შედეგი რეალურ სურათს იძლევა იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნური ჩარევა გამოირიცხება და მშპ-ს სტრუქტურაში რეალური წარმოების წილი მაღალი იქნება.

საკვანძო სიტყვები: რისკი, სტრეს ტესტირება, მშპ, ბანკი, რისკ მენეჯმენტი, სისტემური რისკები, შიდა რისკები.

საზოგადოების განვითარება საწარმოო ძალთა განვითარებით იზომება. საწარმოო ძალთა განვითარება კი რთულ, საფრთხეებით სავსე პირობებში მიმდინარეობს. საფრთხე ადამიანის გონებაში ყოველთვის იყო დაკავშირებული პროცესის არახელსაყრელ განვითარებასთან. ამიტომაც საფრთხეებისაგან თავის არიდება და მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრა ადრეულ პერიოდში გახდა მოაზროვნე ადამიანთა მსჯელობის საგანი. საფრთხის შეფასებისათვის ოდითგანვე გამოიყენებოდა სიტყვა-რისკი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად განიმარტებოდა, მაგრამ არსი ერთი და იგივე იყო. ტერმინ „რისკს“ გააჩნია საკმაოდ ძველი ეტიმოლოგია. რისკის შეცნობისა და მისი მართვის მცდელობები უკავშირდება მე-13 საუკუნეს. მისი განვითარების პერიოდი შედგება ოთხი ეტაპისაგან და ბოლო მე-4 ეტაპი იწყება 1960 წელს, რომელიც დღემდე გრძელდება. გასული საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გერმანელმა სოციოლოგებმა ნ. ლუმანმა, უ. ბეკმა და ინგლისელმა სოციოლოგმა ე. გიდენსმა შექმნეს სოციალური კონცეფციები, რომელთა მიხედვით სოციოლოგიამ პასუხი გასცა კითხვას, თუ „საზოგადოება როგორ ხსნის და ასწორებს ნორმისგან გადახრას, არახელსაყრელ ან გაუთვალისწინებელ შემთხვევითობებს, მიუხედავად იმისა რომ ეს არის ცხოვრების ბნელი მხარე“. ნ. ლუმანმა რისკის ბუნების ასახსნელად გამოიყენა რისკოგენური შემთხვევითობების განლაგება შკალაზე „აწმყოდან მომავალისაკენ“, რომლის მიხედვითაც აწმყოთი მომავალი განუსაზღვრელია, ამავე შკალის მიხედვით იგი ამტკიცებს, რომ მომავალი პროცესები დამოკიდებულია ახლანდელ დროში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. (Luhmann 1993:7). აქ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ლუმანის მოსაზრებას, ვინაიდან ადამიანის დღევანდელი ქცევა ნებისმიერი სახის საქმიანობასთან დაკავშირებით, გარკვეულწილად მომავალი რისკების წყაროს წარმოადგენს, ხოლო ის რომ ახლანდელი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მომავალ რისკებს, აღნიშნულს ასეთ მოდიფიცირებას გავუკეთებთ: მთავარია მიზანი იქნას სწორად შერჩეული და ქმედებების განხორციელებისას არ მოხდეს მიზნისაგან გადახრა.

თანამდროვე პერიოდში კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიები წმინდა სახით აღარ არსებობენ, რადგან განიცადეს ტრანსფორმაცია. საერთო გავრცელებულ თეორიად ეკონომიკურ რისკებში ითვლება ნეოკლასიკური თეორია ჯ. კეინსის დამატებებით. კეინსმა პირველმა მოგვცა სამეწარმეო რისკების კლასიფიკაცია, რომელიც შეავსო კმაყოფილების ფაქტორით. ნეოკლასიკური თეორიის უარყოფით მხარედ კეინსი თვლიდა აზარტისადმი მიმხრობის ბოლომდე შეუფასებლობას, რასაც სამეწარმეო საქმიანობაში ხშირად აქვს ადგილი. ნეოკლასიკური თეორიის შემდგომი განვითარება გვხვდება უნგრელი ეკო-

ნომისტების ტ. ბაჩკას და დ. მესენას შრომებში, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ „რისკის არსი - არა ზარალი, მიღებული რაიმე არასწორი გადაწყვეტილების გამო, არამედ იმ მიზნისაგან გადახრაა, რომლის მისაღწევად იქნა მიღებული გადაწყვეტილება“. თანამედროვე პერიოდში არაერთი მეცნიერი მუშაობს რისკების არსის კვლევაზე, თუმცა მათი ნაშრომებიდან ჩანს, რომ საფუძველი რისკის წარმოქმნისა არის საფრთხე, რომელიც თავდაპირველი კვლევებით იქნა აღიარებული. რისკის თეორიის ყველა კვლევა აღიარებს, რომ იქ, სადაც არ არის ალტერნატივა, არ შეიძლება რისკზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ რისკის არსის ახსნა ძველბერძნული მეცნიერებიდან დაწყებული, კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიის მიმდევრების ჩათვლით მიმდინარეობდა, ერთიანი მიდგომა რისკის ცნების შესახებ არ არსებობს. ეს შეიძლება იყოს იმის ბრალი, რომ მიუხედავად ჩატარებული კვლევებისა ფუნდამენტალური კვლევა არ არის. მაგალითად, რუსი მეცნიერი ნ. დ. ილენკოვა რისკის განსაზღვრის ხუთ მიმართულებას ასახელებს:

- რისკი, როგორც საფრთხის შედეგი;
- რისკი, როგორც საქმიანობის ელემენტი დაკავშირებული მოულოდნელ შედეგთან;
- რისკი, როგორც რესურსების დაკარგვის, შემოსავლის მიუღებლობის, გაუთვალისწინებელი დანაკარგების შესაძლებლობა;
- რისკი, როგორც განუსაზღვრელობა დაკავშირებული სიტუაციის არასტაბილურობასთან;
- რისკი, როგორც საწარმოს საქმიანობის ინტეგრალური შედეგი განვითარების სხვადასხვა ვარიანტების შემთხვევაში.

ქართველი მეცნიერების მიერ რისკის განსაზღვრის განსხვავებული მცდელობა არ გვხვდება. მათ მიერ შესრულებული ნაშრომები, ძირითადად სახელმძღვანელოსა და სადისერტაციო ნაშრომების სახით დაფუძნებულია არსებულ განმარტებებზე. მათ მიერ შემუშავებული და მოდიფიცირებულია რისკების მართვის სხვადასხვა მოდელები. (გ. ცანავა რისკოლოგია; ნ. ზაუტაშვილი რისკ-მენეჯმენტი; რისკების მართვა, პ. ჩაგანავა და სხვები). მიუხედავად არაერთი კვლევისა, მიგვაჩნია რომ რისკის არსისა და მათი გამომწვევი ფაქტორების სიღრმისეული შესწავლითა და მართვის ახალი მოდელების შემუშავებით რისკ მენეჯმენტი მიიღებს უფრო შინაარსიან და სრულყოფილ სახეს.

რისკი გამოიყენება ორი მნიშვნელობით: ერთი, როდესაც მოსალოდნელია საფრთხე, მაგრამ მას არ განაპირობებს ქმედება და რეალიზაციის შემთხვევაში აუცილებლად

ადგილი აქვს ზარალის მიღებას, მეორე, მოსალოდნელი წარმატების მიღების მიზნით განსაზღვრული ქმედება, რომელიც შეიცავს არასასურველი შედეგის მიღების საფრთხეს. პირველ შემთხვევაში წარმოქმნილი რისკი ნაკლებად განსაზღვრებადი და მართვადია, რადგან მისი დადგენა გარე, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ფაქტორებით ხდება. მეორე შემთხვევაში, კი მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულ ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებით, გამიზნულია სასურველი შედეგის მისაღებად, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღების ქვეცნობიერებაში ჩნდება მოსალოდნელი საფრთხის შიში და პირველ შემთხვევასთან შედარებით მართვის მექანიზმების გამოყენებით არის მოსალოდნელი ზარალის შემცირების, ან სასურველი შედეგის მიღწევის მცდელობა.

საბანკო ბიზნესი სხვა ტიპის სფეროს ბიზნესისაგან განსხვავებით ზემოთ აღნიშნული ორივე შემთხვევის რისკების ზემოქმედების ქვეშ ექცევა. ეს განპირობებულია იმით, რომ ბანკი არის შუამავალი რგოლი მსესხებელსა და გამსესხებელს შორის. აქ თავს იყრის, როგორც უმართავი ანუ სისტემური, ასევე ბანკის შიდა ფაქტორებით გამოწვეული რისკები. იმისათვის, რომ არსებული მართვის მექანიზმები მორგებული იქნას საბანკო რისკების მართვაზე, ან შეიქმნას ახალი მოდელი მნიშვნელოვანია რისკების კლასიფიცირება გამომწვევი ფაქტორების მიხედვით. სისტემური რისკებია: ინფლაცია, ფასების ცვალებადობა, საპროცენტო განაკვეთები, სავალუტო კურსი და სხვა სახის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ხოლო შიდა რისკებს მიეკუთვნება: საოპერაციო, საკრედიტო, ლიკვიდურობის და სხვა. აქვე გვინდა გამოვყოთ საბანკო ბიზნესში რისკების მართვის აუცილებლობის რამდენიმე წინაპირობა:

- პირველი-მკაცრი მარეგულირებელი მოთხოვნები, რომელიც შემუშავებულია ბაზელის კომიტეტის მიერ და რომლის საფუძველზეც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რისკის მართვას მენეჯმენტის მიერ.
- მეორე-დადებითი საინვესტიციო იმიჯის ფორმირება. ამ პირობიდან გამომდინარე ქართული საბანკო ბიზნესით დაინტერესებული უცხოელი ინვესტორებისათვის რისკ მენეჯმენტის არსებული დონის შეფასება ერთ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება ინვესტიციების განხორციელებისას. ამიტომაც, საერთაშორისო საბანკო ბაზარზე ინტეგრირების პროცესში ბანკები მუდამ უნდა ცდილობდნენ რისკების მართვის ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან.
- მესამე - „შემოსავლებსა და რისკებს შორის“ თანაფარდობის შენარჩუნება. ამისათვის

ბანკებმა ზედმიწევნით სწორად უნდა განსაზღვრონ შესაძლო საფრთხის მოლოდინები. ასეთ შემთხვევაში საკრედიტო ორგანიზაციები უფრო მეტად საჭიროებენ რისკების სწორად იდენტიფიცირებას, ანალიზს, კონტროლს და გარკვეულ დონეზე მათ შეჩერებას. თუმცა სირთულეები მდგომარეობს იმაში, რომ შემოსავლებისა და კლიენტების ბაზის ზრდაზე ორიენტირებული ე.წ. აზარტში შესული ბანკები ხშირად ვერ საზღვრავენ რისკების დონეს, რაც იწვევს დანაკარგების ზრდას და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. ამას ემატება ისიც, რომ საბანკო რისკები მრავალგვარია და ურთიერთ დაკავშირებულები, რაც გულისხმობს, რომ ერთი რისკის ცვლილება ზრდის ან ამცირებს ყველა დანარჩენ რისკს, ეს კი თავის მხრივ ართულებს კონკრეტული რისკის შეფასების მეთოდის შერჩევას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებში მსოფლიო საფინანსო ბაზარზე საბანკო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და ბანკთაშორის კონკურენციული ბრძოლის გაღვივება საბანკო მენეჯმენტს დღემდე აიძულებს იმუშაოს სტრატეგიული გეგმით, რაც თავის თავში ხშირად მოიცავს ისეთი რთული ოპერაციების განხორციელებას, რომელთა უკან მოსალოდნელი საფრთხეები და რისკები წინასწარ დაუნახავი რჩება. შედეგად რისკები საბანკო სისტემის უფრო რთული შემადგენელი გახდა, ამან კი გამოიწვი ეკონომიკური სისტემის ნგრევა იმ ქვეყანაში სადაც ისინი ოპერირებდნენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა სცადეს სიტუაციების გაკონტროლება მარეგულირებელი რეფორმების გატარების მეშვეობით, თუმცა აღსანიშნავია რომ ამ რეფორმებმა ვერ იმუშავა და დასრულდა ისეთი შედეგებით, როგორცაა ფინანსური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი. მთელს ამ ვითარებაში, ყველაზე დაუცველი რისკი აღმოჩნდა საკრედიტო რისკი. სწორედ ამიტომაცაა რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი რეგულაციები ეფუძნება ბაზელის კომიტეტის შეთანხმებებს. ბაზელის კომიტეტი ერთერთი პირველი იყო, რომელმაც ევროპის საბანკო სისტემის რეგულირების მოდელი შეიმუშავა, მაგრამ დროთა განმავლობაში საბანკო რისკების ტრანსფორმაციამ მოითხოვა ახალი მიდგომების შემუშავება, ერთერთ ასეთ მოდელს წარმოადგენს “სტრეს-ტესტირება“, რომელიც ქართულ საბანკო მენეჯმენტში ჯერ არ არის დანერგილი.

2007 წელს ევროპის საბანკო მმართველობამ ჩაატარა სტრეს-ტესტი მთელი ევროპის მასშტაბით, ფინანსური ინსტიტუტების ბაზარზე არახელსაყრელი ცვლილებების შემთხვევაში ფინანსური მდგრადობისა და სისტემური რისკის შეფასებისათვის. (EBA, 2013). 2011 წელს კი სტრეს-ტესტი გამოიყენა, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც მიაწოდებს


საბანკო სისტემაში წინააღმდეგობრიობის შესახებ ინფორმაციას, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც არ არსებობს რაიმე ეჭვი ბანკების სტაბილურობისა და განვითარების შესახებ. სტრეს-ტესტის გამოყენება დაიწყო არა მხოლოდ მარეგულირებელმა ორგანოებმა, არამედ თვით ცალკეულმა ბანკებმაც. ის ხელსაყრელი იარაღი აღმოჩნდა კრიზისის შემთხვევაში ზარალების რეზერვების რეალური მოცულობის დადგენისათვის.

სტრეს-ტესტი არის საშუალება, რომლის გამოყენების პროცესში გამოიკვეთება რისკები, რომლებიც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ტესტირების პროცესში საბანკო მდგრადობაზე. ამავე ინსტრუმენტის გამოყენებით დადგინდება ის რისკები, რომლებიც სტრეს-ტესტების ჩატარების პროცესში კაპიტალის კოეფიციენტის ცვლილებას იწვევს. 2011-2012 წლის ტესტირების შედეგი ადასტურებს, რომ ბანკები, რომლებსაც აქვთ ლიკვიდური აქტივების მაღალი დონე, ხოლო დანაკარგების რეზერვების დაბალი დონე, ტესტირებისას უფრო ხელსაყრელ შედეგს აჩვენებს. რაც იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ბანკს ასეთი მონაცემების შემთხვევაში შეუძლია გაუძლოს წარმოქმნილი რისკებისაგან მოსალოდნელ ზარალს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრეს-ტესტები ევროპის კომერციულ ბანკებში ფართო გამოყენების ინსტრუმენტად იქცა. განსაკუთრებული როლი მან შეასრულა რისკების პროგნოზირებაში. სუსტი მხარეების გამოვლენით, რომელიც სარისკო სიტუაციების შექმნას შეუწყობს ხელს, ბანკისათვის შესაძლებელი გახდება სისტემურ რისკებს მომზადებული კაპიტალით შეხვდეს, ხოლო არასისტემური რისკების პრევენცია დროულად ჩაატაროს. მაგრამ აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ტესტირების პროცედურა არ უნდა გაცდეს რეგულაციებით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს.

მაკროდონეზე გამოყენებული სტრეს-ტესტები, ცალკეული კომერციული ბანკების მიერ რისკების მართვის სხვადასხვა მეთოდებთან ერთად ვთვლით, რომ რისკ მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად იმისა რომ, ბაზელის კომიტეტისა და ფინანსური სტაბილურობის ფორუმის მიერ სტრეს-ტესტი აღიარებული იქნა მაკროდონეზე რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში მაინც არის შემთხვევები, როდესაც ბანკები სტრეს-ტესტირებას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა არალიკვიდური პირობები და ბანკის არასახარბიელო ისტორია ართულებს რისკების მართვის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას.

სტრეს-ტესტირების პროცედურა სქემატურად შესაძლებელია შემდეგი ფორმით წარმოვადგინოთ:



მაშასადამე სტრეს-ტესტირება არის რისკების მართვის ერთგვარი მეთოდიკა, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტები განსაზღვრული ფაქტორების ზემოქმედების გავლენით მიღებული ცვლილებების ანალიზის საფუძველზე უნდა იყენებდნენ მოსალოდნელი შედეგების შესაფასებლად. პრაქტიკაში შესაძლებელია ჩატარდეს ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი სტრეს-ტესტირება. ორივე მათგანს აქვს როგორც, დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ერთ ფაქტორიანი ტესტირება ერთი, რომელიმე ფაქტორის ზემოქმედებას ასახავს კონკრეტულ საკვლევ რისკზე, მაგალითად მშპ-ს გავლენა სისტემურ რისკებზე, საოჯახო მეურნეობების შემოსავლების გავლენა საკრედიტო რისკზე და ა.შ.

მშპ-ს შემცირების ერთ ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს ინვესტიციების მოცულობის კლება (სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში), ხოლო ამ უკანასკნელის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს ან არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ან არასწორი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც თავის მხრივ უკვე პირდაპირ ვლინდება ბანკის სისტემურ რისკებში და ხელსაც უშლის კომერციული ბანკების საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრირებას. ეს მოდელი ღრმა ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა და მოსალოდნელი შედეგიც უფრო მაღალი ალბათობით არის სარწმუნო. რაც შეეხება მრავალფაქტორიან მოდელს, ამ შემთხვევაში რამდენიმე ფაქტორის გავლენის შესწავლა ხდება და მაღალი ალბათობით არის შესაძლებელი დროული რეაგირება, მაგრამ ამ მოდელის ნაკლოვანება არის, ის რომ, ის არ ითვალისწინებს ბაზრის კონიუქტურას და ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, თუმცა საბანკო ლიტერატურაში მიღებულია რომ, ბევრი მაკროეკონომ-

მიკური და ფინანსური ფაქტორები ახდენენ საკრედიტო რისკზე გავლენას. ამიტომ სტრეს ტესტის მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ბევრ ფაქტორს, რადგან რისკის შეფასება მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსალოდნელ შედეგს. მოდელის გამოყენებით მარეგულირებელ ორგანოებს ეძლევათ საშუალება დაინახონ ფაქტორთა ის წრე, რომელიც ახდენს საბანკო სექტორის რისკების პროვოცირებას და შეიმუშაონ მათი განეიტრალების გზები. ღირებული შედეგის მისაღებად პირველ რიგში აუცილებელია თვით მოდელის სწორად ფორმულირება: ეკონომიკაზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინება, გამოტოვების შემთხვევაში შესაძლებელია რისკის შეფასება სრულყოფილად ვერ მოხდეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რისკ მენეჯმენტის ზოგადი პრინციპის მიხედვით ჭარბი ინფორმაციის გამოყენება ისევე აყენებს ზიანს საბოლოო შედეგს, როგორც ინფორმაციის ნაკლებობა. ამასთან არ მიგვაჩნია გამართლებულად რომ მოდელის მზა რეცეპტი პირდაპირ ერთი ერთზე იქნეს გამოყენებული სხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყანაში, ვფიქრობთ რომ ასეთი მიდგომა აუცილებლად მცდარი შედეგის მომტანი იქნება.

ჩვენი აზრით, რისკის გადაცემა, არ არის მართვის ღონისძიება, ის უფრო რისკისაგან თავის არიდებას ჰგავს, რომელმაც, ვიდრე მაღალი რგოლის მენეჯმენტი შეიმუშავეს ღონისძიებებს, შესაძლებელია არასახარბიელო შედეგი გამოიღოს. ვინაიდან “დრო“ არის უდიდესი ფაქტორი, რომელიც რისკების მართვის ტექნიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ვთვლით, რომ ბანკის რისკ მენეჯმენტი აღჭურვილი უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის კადრებით, რომელმაც სტრეს-ტესტის, თუ სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით გამოვლენილ რისკებს დაუყოვნებლივი ქმედება დაუპირისპიროს და ზედა რგოლის მენეჯმენტთან მხოლოდ ღონისძიებათა შინაარსი შეათანხმოს.